საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030122638152921

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/15119 **30 / სექტემბერი / 2021 წ.**

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხილულ იქნა თქვენი 2021 წლის 28 სექტემბრის №9944/4-2/21 წერილი, რომელიც შეეხება საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა გაზრდის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ როგორც თქვენთვის ცნობილია, პანდემიით გამოწვეული ზიანის შემსუბუქების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ საფუძველზე 2020 წლიდან არ ხდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი გადამოწმება და უწყვეტად გრძელდება საარსებო შემწეობის გაცემა, მიუხედავად სხვადასხვა წყაროდან მიღებული და/ან აღმოჩენილი (გამოვლენილი) დადასტურებული ინფორმაციისა.

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა/გადამოწმება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმეორებითი გადამოწმება მოთხოვნილია უშუალოდ ოჯახის მიერ ან ახალი ოჯახი მიმართავს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მოთხოვნით. შესაბამისად, სისტემიდან პრაქტიკულად არ ხდება ოჯახების ამოღება/დახმარების შეწყვეტა და თვეების განმავლობაში სისტემას ემატება ახალი ოჯახები, რაც ბუნებრივია იწვევს როგორც მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, ისე საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობის ზრდას.

ამასთან, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ყველაზე მოწყვლადი ოჯახების უკეთ იდენტიფიცირების მიზნით, პანდემიის პირობებში გამარტივდა მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია და საარსებო შემწეობის მიღების უფლების მოპოვების შემთხვევაში დანიშვნის პროცესი ხორციელდება ავტომატურად, კერძოდ, ოჯახის დეკლარაციის შევსებისა და სარეიტინგო ქულის მინიჭების შემდეგ საარსებო შემწეობის დანიშვნა ხდება დანიშვნის პროცედურის, სოციალური აგენტის ოჯახში ხელახალი ვიზიტის გარეშე.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის N145 დადგენილების თანახმად, 2021 წლის 1 ივლისიდან 50 ლარიდან 100 ლარამდე გაიზარდა სოციალურად დაუცველი ოჯახებში მცხოვრები ბავშვის ბენეფიტის ოდენობა, ხოლო ამ ბენეფიტის მისაღები ზღვრული ქულა 100 000-დან 120 000-მდე განისაზღვრა. შესაბამისად, გაიზარდა ბავშვის ბენეფიტის მიმღები ოჯახების რაოდენობაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წლის ივნისის თვესთან შედარებით საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობის ზრდა დაკავშირებულია შემწეობის მიმღებ ოჯახებთან მიმართებაში ადმინისტრირების პროცედურების შეჩერებასთან, ახალი მოწყვლადი ოჯახების იდენტიფიცირების გამარტივებულ წესებთან და ასევე, ბავშვის ბენეფიტის მისაღებად საჭირო ქულის (100 000-დან 120 000-მდე) გაზრდასთან.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
ელექტრონულად